



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 141

“ 29 ” მარტი 2024 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, ერეკლე დანელიას ქუჩა, №16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 27 მარტის №24.525.606 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, ერეკლე დანელიას ქუჩა, №16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: №72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01240463882-67 (№01240793567-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.525.606
27 / მარტი / 2024 წ.

ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, ერეკლე დანელიას ქუჩა, N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 16 თებერვალს N01240463882-67 (N01240793567-67) განცხადებით მიმართეს თამარ ჩოლოყაშვილმა (პ/ნ 01024033463) და ივანე ჩოლოყაშვილმა (პ/ნ 31001004073) მოითხოვეს ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, ერეკლე დანელიას ქუჩა N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, ერეკლე დანელიას ქუჩა N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 8354 კვ.მ. აქედან, დაურეგისტრირებელი ტერიტორია - 3154 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ), ასევე, გამწვანებული ტერიტორიების ფენით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, ერეკლე დანელიას ქუჩა N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 სექტემბრის N484 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.

წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით დაგეგმილია ტერიტორიაზე არსებული ფუნქციური ზონირების - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)-ის შესაბამისად ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანება. დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) იცვლება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ითა და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში მოეწყობა სკვერი, ხოლო, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გამოყოფილია



საავტომობილო გზისთვის. კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი კი დაყოფილია 7 სამშენებლო მიწის ნაკვეთად, თითოეულზე განთავსდება ერთი ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

მიწის ნაკვეთების ტექ-გეონომიკური მარგენებლები:

მიწის ნაკვეთები - N A1, A2, A3, A4, A5, A6, A7

საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) - 5200 კვ.მ.

კ-1= 0,5 - 2 600 კვ.მ.

კ-2= 0,8 - 4 160 კვ.მ.

კ-3 = 0,4 - 2 080 კვ.მ.

ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი და მისი დამხმარე შენობა ნაგებობები;

მაქსიმალური სიმაღლე - 15 მეტრი;

სართულიანობა - 3 მიწისზედა სართული.

მიწის ნაკვეთები - B1

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 2 318 კვ.მ.

კ-1= - ;

კ-2= - ;

კ-3= 0,1 - 231,8 კვ.მ.

საავტომობილო გზა.

მიწის ნაკვეთები - B2

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - 836 კვ.მ.

კ-1= - ;

კ-2= - ;

კ-3= 0,8 - 668,8 კვ.მ.

სკვერი.

არსებული ფუნქციური ზონირება:

საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) - 5200 კვ.მ.

ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) - 3154 კვ.მ.

საპროექტო ფუნქციური ზონირება:

საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) - 5200 კვ.მ.

სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) - 836 კვ.მ.

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 2318 კვ.მ.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოყენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 26 მარტის N01240861614 წერილის შესაბამისად, სააგენტო, არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 4 მარტის N012406476 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, ერეკლე დანელიას ქუჩა N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01240463882-67 (N01240793567-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, ერეკლე დანელიას ქუჩა N16-ში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.16.09.179) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **012406476**
თარიღი: **04/03/2024**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 16 თებერვლის № 01240463882-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკებში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:72.16.09.179 და მიმდებარე; საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 1, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამსახურმა დააფიქსირა პოზიცია, რომელიც გეგნობათ 2023 წლის 27 ოქტომბრის №01233003126 წერილით.

გთხოვთ, იხელმძღვანელოთ აღნიშნული პოზიციით.

დანართი: 2 (ორი) გვერდი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01233003126
თარიღი: 27/10/2023

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 25 ოქტომბრის №01232981770-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკებში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:72.16.09.179 და მიმდებარე; **საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 1, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)**) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საქსპერტო დასკვნებში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი 6 ძირი (ს/კ 72.16.09.179: №27; 35; 36; 41; 44; ს/კ 72.16.09.179 -ის მიმდებარედ (დაურეგისტრირებელი ტერიტორია): №4) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მწვანე ნარგავის რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

ასევე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საქსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი ერთი ძირი ჯანსაღი (ს/კ 72.16.09.179: №15) ძეძვი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (**არსებული: ერთი ძირი თუთა; საპროექტოდ დასარგავი: 19 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი და 19 ძირი ჰიმალაის კედარი; ჯამში - 39 ერთეული**) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (რზ-2 (სკვერი) = 688,8 მ²; ტზ-1 = 231,8 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.**

აქვე გაცნობებთ, რომ დეტალური პროექტირების ეტაპზე განმცხადებელმა მოსაჭრელების/გადასარგავების ცხრილში უნდა მიუთითოს 72.16.09.179 საკადასტრო ერთეულზე №37 ნაცვლად №36.

ამასთან, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება საზოგადოებრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01240861614
თარიღი: 26/03/2024

2024 წლის 19 მარტის N 01240793567-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, ერეკლე დანელიას ქუჩა N16-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.16.09.179) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2023 წლის 30 აგვისტოს N 01232423216-67 განცხადების პასუხად N 01232551313 წერილით.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანხმობის წერილებთან ერთად.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილი პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რაც არსებით უარყოფით ზეგავლენას მოახდენს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიცირებული
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



მკვეთი
26
ფონისტი/მასშტაბი
AS 1:1000
მუშაობა

- საპროექტო ტერიტორია
- მიმდებარე ნაკვეთები
- არსებული გამწვანება
- სამშენებლო ტერიტორია
- სამშენებლო მუშაუბრი
- ტერიტორია




- არსებული უღკადამენის ქსელი
- უღკადამენის ხაზის 1 მეტროანი მუშაუბრა
- არსებული უღკადამენის ხაზის 5 მეტროანი მუშაუბრა
- უღკადამენის ხაზის 10 მეტროანი მუშაუბრა
- არსებული წყალსადენის ქსელი
- არსებული წყალსადენის ქსელის 5 მეტროანი მუშაუბრა

პროექტის საბუნებრივი და ხელოვნური დაზიანების რისკის შეფასება
 ქობულეთის სოფელი ადრიატიკის ზღვის სანაპიროს რაიონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
 დაგეგმვის ნაკვეთი N 16, ს/კ 72 16.09 1.79
 განაშენიანების რეგულირების აქტის
 ბეჭედი

სამშენებლო ტერიტორია
 თანამართლის რეგულირების
 აქტის მიხედვით

სამშენებლო ტერიტორია
 საპროექტო ტერიტორია
 C.1.1.52 უღკადამენის ქსელი
 კონკრეტული ზონირების მუშა

ქობულეთი, 2024 წლის თებერვალი
სამშენებლო ტერიტორია
სამშენებლო ტერიტორია
მომავალი მკაცრებული
არს. რეგულირების აქტი
არს. რეგულირების აქტი
არს. რეგულირების აქტი
არს. რეგულირების აქტი
არს. რეგულირების აქტი



პროექტის საბუნებრივი და ხელოვნური დაზიანების რისკის შეფასება
 ქობულეთის სოფელი ადრიატიკის ზღვის სანაპიროს რაიონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
 დაგეგმვის ნაკვეთი N 16, ს/კ 72 16.09 1.79
 განაშენიანების რეგულირების აქტის
 ბეჭედი

შპს "საინჟინერო ტერიტორია"
 მისდევარე ნაკვეთი
 საპროექტო კამპანია
 საქონიერბელი ზონის 1
 სატრანსპორტო ზონის 1
 სასაწყობო ზონის 2


ფურცელი 29
 ფურცლის/საშუალო
 A3/1:1000
 მუშის/პანა

საინჟინერო ტერიტორია
 მისდევარე ნაკვეთი
 საპროექტო კამპანია
 საქონიერბელი ზონის 1
 სატრანსპორტო ზონის 1
 სასაწყობო ზონის 2

კანონიერი, ZDA ზონის ტერიტორია
 ნაწილი დასაბუთება
 C.2.1.EZ.3 მუშის ნაკვეთის კ. 1, კ. 2, კ. 3
 დასაბუთების ძაფა

კანონიერი, ZDA ზონის ტერიტორია
 მთელი დასაბუთება
 მთელი დასაბუთება
 მთელი დასაბუთება
 მთელი დასაბუთება






urban
 საინჟინერო ტერიტორია




ნაკვეთის კატორი ფურცელი	ნაკვეთის ფართობი	ფართობი საპროექტო საწყობო ზონის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	ფართობი საპროექტო საინჟინერო ტერიტორიის ქვეშ	
41	900	საპროექტო ზონის 1	15000.0	3	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15
42	1018	საპროექტო ზონის 1	15000.0	3	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15
43	800	საპროექტო ზონის 1	15000.0	3	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15
44	600	საპროექტო ზონის 1	15000.0	3	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15
45	600	საპროექტო ზონის 1	15000.0	3	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15
46	1112	საპროექტო ზონის 1	15000.0	3	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15
47	800	საპროექტო ზონის 1	15000.0	3	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15
81	1118	საპროექტო ზონის 1	15000.0	3	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15
82	800	საპროექტო ზონის 2	15000.0	3	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15	15000.0	0.5	0.8	0.4	15

არსებული უბნ. კადასტრის ქსელი (0.43) 2 მეტრანი ბუნდვითი
 არსებული წყალსადენის ქსელი 5 მეტრანი ბუნდვითი

შპს ურბან												
30												
უფროსი/სამსახურის მფლობელი												
A3/1:1000												
შენიშვნა												
<ul style="list-style-type: none"> სასწრაფო ტერიტორია მიწის ნაკვეთი სასწრაფო აბიჯი გამგზავნის რეგულირების წიგნი სასწრაფო საბაზისი გზა სასწრაფო ტერიტორია საქონლის ნაწილი 1 საქონლის ნაწილი 2 სასწრაფო გზის 												
<ul style="list-style-type: none"> არსებული ულ-ადამენი ხაზი უ-ადამენი ხაზი 1 მეტრის მუდუცა არსებული ულ-ადამენი ხაზი უ-ადამენი ხაზი 10 მეტრის მუდუცა არსებული წყალსადენის ქსელი არსებული წყალსადენის ქსელის 5 მეტრის მუდუცა 												
დასკვნა												
თამარ ჩოლოყაშვილი												
ეკაბე ჩოლოყაშვილი												
შენიშვნა: არსებული საბაზისი და სტრუქტურა												
ქ. თბილისი, სოფელი აგარტი, ურბნული დასახლება ქუჩა, N 16, N/72 16.09.179												
გამგზავნის რეგულირების აქტის მექანიზმის დაგეგმვა												
ნაგებობის დასახლება												
CZ.I.FZ.4 შენობა-ნაგებობის მუდმივური სიმაღლის ან/და												
სართულიანობის დადგენის გეგმა												
ქ. თბილისი, 2024 წლის თებერვალი												
<table border="1"> <tr> <td>მომარაგების</td> <td>მფლობელი</td> <td>მფ</td> </tr> <tr> <td>არქიტექტორი</td> <td>მფლობელი</td> <td>მფ</td> </tr> <tr> <td>ინჟინერი</td> <td>მფლობელი</td> <td>მფ</td> </tr> <tr> <td>მშენებელი</td> <td>მფლობელი</td> <td>მფ</td> </tr> </table>	მომარაგების	მფლობელი	მფ	არქიტექტორი	მფლობელი	მფ	ინჟინერი	მფლობელი	მფ	მშენებელი	მფლობელი	მფ
მომარაგების	მფლობელი	მფ										
არქიტექტორი	მფლობელი	მფ										
ინჟინერი	მფლობელი	მფ										
მშენებელი	მფლობელი	მფ										





არსახული ელ. გადაემგზ. ქსელი
(0.433) 2 მეტრიანი მეზღუდვით

ის ქსელი
07

სავაჭრო
42
სომხური/სახალხო
AZ11360
გეგმვის
<ul style="list-style-type: none"> სავაჭრო ტერიტორია მონტაჟი ნაკვეთი სავაჭრო გზა გამკაცრების რეკონსტრუქციის წყლის ხაზი სავაჭრო კაბანჯი სავაჭრო ტერიტორია სავაჭრო ტერიტორია სავაჭრო ტერიტორია სავაჭრო ტერიტორია სავაჭრო ტერიტორია სავაჭრო ტერიტორია სავაჭრო ტერიტორია სავაჭრო ტერიტორია სავაჭრო ტერიტორია სავაჭრო ტერიტორია სავაჭრო ტერიტორია სავაჭრო ტერიტორია

წელი	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო
41	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო	სავაჭრო

შეთანხმება

უძრავი ქონების ვალდებულებით დატვირთვისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ

წინამდებარე შეთანხმება (შემდგომში „შეთანხმება“) დადებულია ქ. თბილისში, 2023 წლის _____ შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“, ს/ნ 203826002 (შემდგომში „GWP“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ხოსე მიგელ სანტოს გონსალეს მიერ; და

მეორე მხრივ, თამარ ჩოლოყაშვილი, პირადი ნომერი: 01024033463 (შემდგომში „მესაკუთრე 1“)

მესამე მხრივ, ივანე ჩოლოყაშვილი, პირადი ნომერი: 31001004073 (შემდგომში „მესაკუთრე 2“)

„მესაკუთრე 1“ და „მესაკუთრე 2“ ერთობლივად წოდებულნი „მესაკუთრეებად“, „GWP“ და „მესაკუთრეები“ ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც „მხარე“;

ვინაიდან,

(ა) „მესაკუთრეების“ საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია 5200.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შემდგომში „მიწის ნაკვეთი“), მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფელი აგარაკი, ერეკლე დანელიას ქ. N16; საკადასტრო კოდი: 72.16.09.179;

(ბ) „მესაკუთრეებს“ სურთ, რომ „მიწის ნაკვეთზე“ განათავსონ მარტივად მოხსნადი და დაყენებადი სექციური ღობე (შემდგომში „ღობე“);

(გ) „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარედ გადის „GWP“-ს მფლობელობაში არსებული დ=75მმ-იანი წყალმომარაგების მილი (შემდგომში „მილი“), რომელთან მიმართებით, „მესაკუთრეების“ მიერ „ღობის“ მოწყობის შემთხვევაში, დაირღვევა მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნა, რომ დაშორება წყალმომარაგების მილიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობამდე უნდა იყოს არანაკლებ 5 მეტრი, რის გამოც, „მილის“ დაზიანებისას, „მიწის ნაკვეთთან“ მდებარე ღობეს შესაძლებელია მიაღვეს ზიანი (ზარალი);

ამდენად,

თბილ. მანან გვიგინა
 ივანე ჩოლოყაშვილი
 თამარ ჩოლოყაშვილი
 JOSÉ MIGUEL SANTOS GONZÁLEZ

თბილ. მანან გვიგინა

1. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის, ტერმინი „მესაკუთრეები“ გულისხმობს, როგორც „მიწის ნაკვეთის“ ამჟამინდელ მესაკუთრეებს, ასევე მის ნებისმიერ უფლებამონაცვლეს ან/და სამართალმემკვიდრეს, ისევე როგორც იმ ნებისმიერ პირს (იქნება ეს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი თუ სხვა სახის ორგანიზაცია), რომელიც მომავალში შეიძენს საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე ან/და მასზე განთავსებულ ნებისმიერ სხვა ქონებაზე ან მათ ნებისმიერ ნაწილზე.

2. „მესაკუთრეები“ კისრულობენ ვალდებულებას, „მილის“ დაზიანების შემთხვევაში, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში უზრუნველყონ „GWP“-ის შესაბამისი სამსახურების ან/და მისი ქვეკონტრაქტორების (რაც ასევე გულისხმობს მათ შესაბამის სამშენებლო ტექნიკასა და მაქანა-მოწყობილობებს) შეუფერხებელი და ოპერატიული დაშვება მათ კუთვნილ „მიწის ნაკვეთზე“, თუკი ეს საჭირო გახდება „მილის“ საავარიო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.

3. „მესაკუთრეები“ კისრულობენ ვალდებულებას, მათი ბრალით „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარედ განთავსებული „მილის“ დაზიანების შემთხვევაში, „GWP“-ის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამგვარი მოთხოვნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, სრულად აუნაზღაურონ „GWP“-ს დაზიანებული „მილის“ აღდგენასთან და განხორციელებულ სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით გაწეული დასაბუთებული ხარჯები.

4. „მესაკუთრეები“ წინასწარ აცხადებენ თანხმობას, მათი ადგილზე არყოფნის შემთხვევაში, აუცილებლობიდან გამომდინარე, „GWP“-ის ან/და მისი შესაბამისი ქვე-კონტრაქტორის თანამშრომლებმა, „მილის“ საავარიო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, მიიღონ ადეკვატური ზომები, რაც შეიძლება შეზღუდვის გარეშე მოიცავდეს ეზოს/მიწის საფარის ნაწილის მოხსნას, გათხრას ან/და საჭიროების შემთხვევაში, ღობის ნაწილ(ებ)ის დემონტაჟს ან/და სხვა სახის ნაგებობ(ებ)ის დემონტაჟს.

5. „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული „მილის“ დაზიანების შემთხვევაში, ისევე, როგორც ხსენებული დაზიანების აღმოფხვრის/ლიკვიდაციის სამუშაოების წარმოების შემთხვევაში (ეზოს/მიწის საფარის ნებისმიერი დაზიანება ან/და საჭიროების შემთხვევაში, ღობის ნაწილ(ებ)ის ან/და სხვა სახის ნაგებობ(ებ)ის დემონტაჟის აუცილებლობა), „GWP“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას „მესაკუთრეებისთვის“ „მიწის ნაკვეთზე“ განთავსებული ობიექტების დაზიანებით (ეზოს/მიწის საფარის ნებისმიერი დაზიანება ან/და საჭიროების შემთხვევაში, ღობის ნაწილ(ებ)ის ან/და სხვა სახის ნაგებობ(ებ)ის დემონტაჟი) მიყენებულ ნებისმიერი სახის ზიანზე (ზარალზე), იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი ზიანი (ზარალი), მატერიალური თუ არამატერიალური, ფაქტობრივი თუ მიუღებელი შემოსავალი ან/და სხვა. ასეთი სახის ზიანზე, სრულად პასუხისმგებელი იქნება „მესაკუთრე“.

6. „მესაკუთრეები“ წინასწარ, უპირობოდ და გამოუთხოვად, უარს აცხადებენ ყველა არსებულ თუ სამომავლო მოთხოვნაზე (მოთხოვნის უფლებაზე), რაც უკავშირდება „მიწის

ივანე ჩოლოყაშვილი
 ანუხ ჩოლოყაშვილი
 JOSE MIGUEL SANTOS GONZALEZ
 თაჩე მანანა გონალეს

ნაკვეთის" მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული „მილის“ დაზიანების ან/და „GWP“-ის მიერ „მილზე“ დაზიანების აღმოფხვრის/ლიკვიდაციის შედეგად „მესაკუთრეებისთვის“ ან/და „მიწის ნაკვეთზე“ მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული პირებისთვის „ნაგებობის“ ან/და „მიწის ნაკვეთზე“ განთავსებული სხვა ობიექტის დაზიანებით მიყენებულ ზიანს (ზარალს) (იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი ზიანი (ზარალი), მატერიალური თუ არამატერიალური, ფაქტობრივი თუ მიუღებელი შემოსავალი და სხვა) ან გამომდინარეობს აღნიშნულიდან.

7. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „შეთანხმების“ გაფორმების (ძალაში შესვლის) შემდეგ, ნებისმიერ დროს, „მიწის ნაკვეთის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული „მილის“ „მესაკუთრეების“ ბრალით დაზიანებიდან ან დაზიანების აღმოფხვრის/ლიკვიდაციის მიზნით წარმოებული სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან გამომდინარე ზიანთან (ზარალთან) დაკავშირებით, რომელიმე მესამე მხარე განუცხადებს რაიმე სახის პრეტენზიას ან წაუყენებს რაიმე სახის მოთხოვნას „GWP“-ს, ასეთი სახის პრეტენზიის ან/და მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებას საკუთარ თავზე იღებენ „მესაკუთრეები“. ამასთან, თუკი „GWP“-ს აღნიშნული პრეტენზიის ან/და მოთხოვნის შედეგად რომელიმე მესამე მხარის სასარგებლოდ დაეკისრება ან მოუწევს რაიმე სახის თანხების გადახდა, „მესაკუთრეები“ კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ „GWP“-ს ყველა მესამე მხარისათვის გადახდილი თანხები (მათ შორის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯები).

8. „მესაკუთრეები“ კისრულობენ ვალდებულებას „მიწის ნაკვეთის“ და ან მისი ნებისმიერი ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, გააცნონ წინამდებარე „შეთანხმება“ და მისი შინაარსი ნებისმიერ ახალ შემქმნს.

9. წინამდებარე „შეთანხმება“ ძალაში შედის და შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს „მხარეების“ მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

10. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ წინამდებარე „შეთანხმების“ შინაარსი, იგი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ თავისუფალ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა „შეთანხმების“ შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

11. წინამდებარე „შეთანხმება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. „მხარეთა“ შორის წინამდებარე „შეთანხმების“ ირგვლივ წამოჭრილი ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ „მხარეები“ ვერ შეძლებენ შეთანხმების მიღწევას, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამისი განსჯადობის სასამართლოს.

ავსან ხოლოყაშვილი
 ანუხ ხოლოყაშვილი თბილისი გვ. 3
 JOSE MIGUEL SANTOS GONZALEZ
 თბილისი გვ. 3

- 13. წინამდებარე „შეთანხმების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მისი სხვა დებულებ(ებ)ის ან/და მთლიანად „შეთანხმების“ ბათილობას.
 - 14. წინამდებარე „შეთანხმება“ ცვლის და აუქმებს „მხარეებს“ შორის შეთანხმების საგანთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ყველა სხვა წერილობით თუ ზეპირ ხელშეკრულებას, შეთანხმებას, გარიგებას ან/და დათქმას.
 - 15. წინამდებარე „შეთანხმება“ შეუზღუდავად ვრცელდება „მხარეების“ უფლებამონაცვლეებზე და სამართალმემკვიდრეებზე, ავალდებულებს მათ და მოქმედებს მათ სასარგებლოდ.
 - 16. „მხარეები“ კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ წინამდებარე „შეთანხმების“ რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. წინამდებარე „შეთანხმების“ რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები გადაიხდება მესაკუთრის მიერ.
 - 17. წინამდებარე „შეთანხმება“ შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე. თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ „მხარეს“, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციის მიზნით.
- ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, „მხარეებმა“ უზრუნველყვეს წინამდებარე „შეთანხმების“ ხელმოწერა, ზემოთ პირველად აღნიშნულ თარიღზე.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

„მესაკუთრე 1“

JOSE MIGUEL SANTOS GONZALEZ

თამარ ჩოლოყაშვილი

ხოსე მიგელ სანტოს გონზალეს
გენერალური დირექტორი

თამარ ჩოლოყაშვილი
პირადი ნომერი: 01024033463

„მესაკუთრე 2“

ივანე ჩოლოყაშვილი

თაჩუ. მანანა გვინაძე

ივანე ჩოლოყაშვილი
პირადი ნომერი: 31001004073

თაჩუ. მანანა გვინაძე